საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030101365144019

№ 01-246/ო **29 / ივლისი / 2019 წ.**

იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) მარინა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) ნოე ქინქლაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) ეკატერინე ადამია - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი;

ზ) შორენა ოქროპირიძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

თ) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;

ი) პაატა იმნაძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

კ) ხათუნა ზახაშვილი - ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ლ) ვლადიმერ გეთია - ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

მ) ლია ჯაბიძე - ცენტრის იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა) თამარ უგულავას - UNICEF-ის საქართველოს წარმომადგენლობა;

ბ) თამარ სირბილაძეს - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისი;

გ) რუსუდან კლიმიაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;

დ) გიორგი ქურციკაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;

ე) მაკა გუმბერიძეს - როსტროპოვიჩ–ვიშნევსკაიას ფონდის დირექტორი;

ვ) მაია ხერხეულიძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;

ზ) ივანე ჩხაიძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;

თ) ქეთევან ქასაშვილს - შპს ,,იმუნიზაციის ცენტრის" დირექტორი;

ი) ნინო ხეცურიანს - აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამხრეთ კავკასიის ოფისის იმუნიზაციის მრჩეველი.

3. კომისიის ამოცანებია:

ა) ქვეყნისათვის ყოველწლიურად საჭირო ვაქცინების რაოდენობისა და სპეციფიკაციის განსაზღვრა;

ბ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის პროცესის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის წინადადებების წარდგენა;

გ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის შესახებ შემუშავებული წინადადებების წარდგენა GAVI-ს სამდივნოში;

დ) იმუნიზაციის სფეროში სამთავრობო და არასამთავრობო პარტნიორებს შორის მჭიდრო კოორდინაციისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა;

ე) ახალი და არასაკმარისად ხმარებულ ვაქცინათა დანერგვისას ავადობის მნიშვნელობის შეფასება სახელმწიფოებრივ დონეზე.

4. კომისიის საქმიანობის წესი:

ა) კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ან თავმჯდომარის მიერ დელეგირებული პირი;

ბ) კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროებისამებრ, დამატებით მოიწვიოს და საკონსულტაციო პროცესში ჩართოს დამატებით ექსპერტები, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

გ) კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;

დ) კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრები და კომისიის მდივანი;

ე) კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ოქტომბრის N01–230/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე